ტარიფის გაყინვა

1. ტარიფის გაყინვა
   1.1. თუ ჩვენს ვებგვერდზე ან Wizz Air-ის მობილურ აპლიკაციაში აირჩევთ სასურველ რეისსა და ტარიფს, ხოლო შემდეგ ისარგებლებთ „ტარიფის გაყინვის“ ვარიანტით, შესაბამისი მომსახურების მოსაკრებლის გადახდის შემდეგ არჩეული ტარიფი შენარჩუნება 48 საათის განმავლობაში. ჯავშნის შენარჩუნებული ტარიფით დასადასტურებლად საჭირო იქნება არჩეული ავიაბილეთის საფასურს სრულად გადახდა აღნიშნულ 48-საათიანი პერიოდის ვადაში.თუ ამ ვადაში თანხას სრულად არ გადაიხდით, ტარიფის გაყინვის პერიოდი ამოიწურება, ხოლო შენარჩუნებული ტარიფი ავტომატურად გაუქმდება.
   1.2. ტარიფის გაყინვის სერვისი ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ ჯავშნებისთვის, რომლებიც გაფორმდება არჩეული რეისის გამგზავრებამდე 7ან მეტი დღითადრე.უკანა რეისის არჩევის შემთხვევაში, აღნიშნული სერვისი ხელმისაწვდომი იქნება პირველი რეისის გამგზავრებამდე 7 დღეზე უფრო გვიან პერიოდშიც.
   1.3. ტარიფის გაყინვის სერვისის გამოყენება ვერ მოხერხდება სხვა პრომო-ფასებთან ან სპეციალურ შემოთავაზებებთან ერთად.
   1.4. თუ აირჩევთ ტარიფის გაყინვის სერვისს, ის გავრცელდება ჯავშანში მითითებულყველა რეისსა და მგზავრზე.
   1.5. ეს სერვისი დაგეხმარებათ მხოლოდ ტარიფის (ავიაბილეთის ღირებულებისა და ადმინისტრაციული მოსაკრებლის) შენარჩუნებაში 48-საათიანი პერიოდის განმავლობაში,რომლის ათვლაც დაიწყება მას შემდეგ, რაც Wizz Air დადასტურებს ტარიფის გაყინვის სერვისის შეძენას. დადასტურების დროის თაობაზე ნებისმიერი დავის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება Wizz Air-ის სისტემის მიერ დაფიქსირებულდროს. Basic ტარიფის არჩევის შემთხვევაში, შენარჩუნებული ტარიფი არ გავრცელდება ისეთ დამატებით სერვისებზე, როგორიც არის, მაგალითად, ბარგის ნორმა, ადგილის არჩევის შესაძლებლობა და ა.შ. WIZZ Go-ს ან WIZZ Plus-ის არჩევის შემთხვევაში, შენარჩუნებულ ტარიფში შევა ის სერვისები, რომლებიც მითითებულია WIZZ Go ან WIZZ Plus სერვისების აღწერილობაში. https://wizzair.com/ka-ge/information-and-services/prices-discounts/fares-bundles#/ დამატებითი სერვისები შეგიძლათ დაამატოთ მოგვიანებით იმ ფასად,რომელიც ძალაში იქნება ჯავშნის დადასტურებისას.
   1.6. ტარიფის გაყინვისას მგზავრების სახელების მითითება აუცილებელი არარის.
   1.7. შენარჩუნებული ტარიფით ჯავშანი უნდა დადასტურდეს მანამ, სანამ ამოიწურება გაყინული ტარიფის შენარჩუნების პერიოდი. ტარიფის გაყინვის საფასურის გადახდის შემდეგ არჩეული რეისებისა და მგზავრების რაოდენობის შეცვლა ტარიფის შენარჩუნების პერიოდში ვერ მოხერხდება. კონკრეტულ ჯავშანთან დაკავშირებული მგზავრების სახელების მითითება საჭიროა ჯავშნის გაფორმების დასრულებისას.

1.8. აღნიშნული სერვისი შემოთავაზებული იქნება ხელმისაწვდომობის მიხედვით. სერვისი ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ ჯავშნებისთვის, რომლებიც გაფორმდება wizzair.com-ის ან Wizz Air-ის მობილური აპლიკაციის მეშვეობით.

2. ტარიფის გაყინვის მოსაკრებელი
   2.1. ტარიფის გაყინვა ექვემდებარება ტარიფის გაყინვის მოსაკრებლის გადახდას ყოველ რეისისთვის.
   2.2. ტარიფის გაყინვის მოსაკრებელი არ ექვემდებარება ანაზღაურებას და არ ახდენს გავლენას თქვენი ავიაბილეთის სრულ ღირებულებასა თუ სხვა შესაბამის გადასახადებსა და საკომისიოებზე ან სხვა რომელიმე სერვისის მოსაკრებელზე.
   2.3. ტარიფი, გადასახადები და საკომისიოები განსაზღვრული იქნება გამგზავრების ადგილის ვალუტაში, თუ გადახდისას ან მანამდე ჩვენ მიერ მითითებული არ იქნება სხვა ვალუტა, ან თუ თავადარაირჩევთგადახდას სხვა ვალუტაში. ინვოისი გაიცემა გამგზავრების ადგილის ვალუტაში.
   2.4. ჩვენს ვებგვერდზე ან მობილურ აპლიკაციაში ამა თუ იმ ვალუტაში მითითებული ფასები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ვალუტა Wizz Air-ის მიერ განსაზღვრულია, როგორც არჩეული რეისის გამგზავრების ადგილის ვალუტა. სხვა ვალუტაში გადახდის არჩევის შემთხვევაში, ფასის კონვერტირებას განხორციელდება ჩვენ მიერ.
3. გადახდის მეთოდები
   3.1. ტარიფის გაყინვის მოსაკრებლის გადახდა უნდა მოხდეს საბანკო ბარათით ან WIZZ ანგარიშზე ხელმისაწვდომი კრედიტის მეშვეობით.
   3.2. ტარიფის გაყინვის მოსაკრებლის გადახდაზე პასუხისმგებელი თქვენ ხართ. ჩვენ შეიძლება შევისწავლოთ გადახდისთვის გამოყენებული სადებეტო ან საკრედიტო ბარათი ან/და ჯავშნის დეტალები, ჩვენი შეხედულებისამებრ, თაღლითობის მაღალი რისკიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში, ჩვენ დაგიკავშირდებით ანგარიშსწორების დეტალების დასადასტურებლად. თუ თქვენ მიერ მითითებულ ნომრებზე თქვენთან დაკავშირება ვერ მოხერხდება, ან იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ვერ დაადასტურებთ ანგარიშსწორების ან ჯავშნის დეტალებს, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, გავაუქმოთ შენარჩუნებული ტარიფი და აგინაზღაუროთ ტარიფის გაყინვის მოსაკრებელი.
   3.3. ტარიფის გაყინვის სერვისის არჩევით და მისი ღირებულების გადახდით თქვენ ცალსახად ეთანხმებით, რომ ჩვენ გავცემთ ელექტრონულ ინვოისს და ამგვარ ელექტრონულ ინვოისს მოგაწვდით მხოლოდ და მხოლოდ ელექტრონული საშუალებით, მხოლოდ თქვენ მიერ დაჯავშნისას მითითებულ ელფოსტის მისამართზე.
   3.4. გარდა ამისა, საინფორმაციო ცენტრის საშუალებით შეგიძლათ მოითხოვოთ ელექტრონული ინვოისის ამობეჭდილ ასლი. ეს სერვისი ფასიანია და მისი ღირებულება შეგიძლათ შეიტყოთ ჩვენი ვებგვერდიდან ან საინფორმაციო ცენტრისგან. ინვოისის ამგვარი ამობეჭდილ ასლი გამოიგზავნება ფოსტით,

თქვენ მიერ საინფორმაციო ცენტრისთვის მიწოდებულ მისამართზე. თქვენ შეგიძლია თმოითხოვოთ შეცვლილი ინვოისი, რომელიც შეიცავს ინვოისირების იმისგან განსხვავებულ დეტალებს, რაც დაჯავშნისას იყო მოწოდებული, რისთვისაც შესაძლებელია მოსაკრებელი დაგეკისროთ.

3.5. ტარიფის გაყინვის მოსაკრებლის გადახდა უნდა მოხდეს იმ ვალუტაში, რომელშიც განსაზღვრულია ტარიფის გაყინვის მოსაკრებელი, თუ სხვა გვარი შეთანხმება არარსებობს.

3.6. საკრედიტო ან სადებეტო ბარათით გადახდის შემთხვევაში, თქვენი გადახდა დამუშავდება ბარათით გადახდების დამუშავების საერთაშორისო სისტემის საშუალებით. თქვენ შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ თქვენი სადებეტო ან საკრედიტო ბარათიდან ჩამოჭრილი თანხა შეიძლება განსხვავდებოდეს (და ზოგიერთ შემთხვევაში, აჭარბებდეს) ჯავშნის დასტურში მითითებულ საბოლოო ფასისგან. ეს გამოწვეულია საერთაშორისო საბარათე გადახდების დამუშავების სისტემაში ვალუტის გადაცვლის კურსში არსებული სხვაობით.

3.7. იმ შემთხვევაში, თუ სერვისის ღირებულების გადახდიდან 2 საათის ვადაში ჩვენგან არ მიიღებთ ტარიფის შენარჩუნების დასტურს ელფოსტის იმ მისამართზე, რომელიც მიუთითეთ ტარიფის გაყინვის სერვისის შეძენისას, თქვენ უნდა დაუკავშირდეთ საინფორმაციო ცენტრს.

4. ჯავშნის გაფორმება შენარჩუნებული ტარიფით

4.1. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ გაყინული ავიაბილეთის შეძენას, მიუთითებთ ყველა მგზავრის სახელს და გადაიხდით ავიაბილეთის სრულ ღირებულებას, რომელიც შენარჩუნებული იყო ტარიფის გაყინვის მეშვეობით, თქვენს ჯავშანზე გავრცელდება ტრანსპორტირების ზოგადი პირობები. გაითვალისწინეთ, რომ თქვენი ჯავშანი არ დადასტურდება, სანამ არ მიუთითებთ ყველა მგზავრის სახელს და სრულად არ გადაიხდით არჩეული ავიაბილეთის (და სხვა სერვისების, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ღირებულებას. ასევე, გაითვალისწინეთ, რომ ტარიფის გაყინვის მოსაკრებელი არ გამოიქვითება მთლიანი ღირებულებიდან, ხოლო არჩეული ავიაბილეთისა და დამატებითი სერვისების მთლიანი ღირებულების გადახდა უნდა მოხდეს ჯავშნის გაფორმებისას.

5. სხვადასხვა

5.1. Wizz Air იტოვებს უფლებას, შეზღუდოს ტარიფის გაყინვის სერვისის ხელმისაწვდომობა.

5.2. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მიერ არჩეული რეისის (რომლის ტარიფიც გაყინეთ) განრიგი შეიცვლება ტარიფის შენარჩუნების პერიოდში, თქვენ შეძლებთ დეთანხმოთ ცვლილებას და გააგრძელოთ დაჯავშნა შენარჩუნებული ტარიფით, ან მოითხოვოთ ტარიფის გაყინვის მოსაკრებელში გადახდილი თანხის დაბრუნება.

5.3. ამ სერვისის მიზანია თქვენ მიერ არჩეული ტარიფის შენარჩუნება და ის არ უნდა ჩაითვალოს ტრანსპორტირების ხელშეკრულების გასაფორმებლად გადახდილ საგარანტიო თანხად.

5.4. ტარიფის გაყინვის სერვისის შეძენისას თქვენ მიერ ჩვენთვის მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებთან მიმართებაში ჩვენ ვიმოქმედებთ მონაცემთა დაცვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი კონფიდენციალურობის დებულება ხელმისაწვდომია ჩვენს ვებგვერდზე ან, მოთხოვნისამებრ, დეტალური ინფორმაცია შეგიძლათ მიიღოთ საინფორმაციო ცენტრიდან.

5.5. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული რომელიმე შესაბამისი კანონის რომელიმე სავალდებულო დებულებაში, წინამდებარე პირობები რეგულირდება უნგრეთის კანონმდებლობის შესაბამისად. ნებისმიერი დავა თქვენსა და ჩვენს შორის, რომელიც რაიმე გზით ეხება აღნიშნულ სერვისს, დაექვემდებარება უნგრეთის სასამართლოების არაექსკლუზიურ იურისდიქციას. „არაექსკლუზიური იურისდიქცია“ ნიშნავს, რომ ჩვენს წინააღმდეგ საჩივრის შეტანა შეგიძლათ უნგრეთის სასამართლოებისგან განსხვავებულიურისდიქციაშიც.